

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3-4
საწყისი სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	7-9

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები	31-12-2021	31-12-20	31-12-19
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	75 838	178 064	257 813
სავაჭრო მოთხოვნები	770 640	735 211	447 684
გადახდილი ავანსები	500	1 649 645	922 370
მარაგები		-	-
მზაპროდუქცია			
სხვა		945	934
საინვესტიციო ქონება			-
სხვა მიმდინარე აქტივები			-
გაცემული სესხები	192 089	-	-
საგადასახადო აქტივი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	994 165	994 165	994 165
ძირითადი საშუალებები	4 378 860	4 147 328	4 304 222
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა	-	-	-
წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	6 412 092	7 705 358	6 927 188
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	70 256	27 745	23 973
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	33 446	9 607	29 685
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1 287 665	-	-
გრძელვადიანი სასესხო	1 140 042	5 483 273	5 016 497
ვალდებულებები			
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	85 169	-	-
სულ ვალდებულებები	2 616 578	5 520 625	5 070 155
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალი')	737 271	737 271	737 271
საემისიო შემოსავალი		-	-

გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3 058 243	1 447 462	1 119 762
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	3 795 514	2 184 733	1 857 033
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6 412 092	7 705 358	6 927 188

სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2021 წელი	2020 წელი
ნეტო ამონაგები		2 681 8040	1 953 618
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან		2 660 262	1 953 618
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			-
სხვა		21 542	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-471 623	-213 939
საერთომოგება		2 210 181	1 739 679
სხვა შემოსავალი			1 222
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		-137 577	-88 626
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		-134 957	-125 053
საპროცენტო შემოსავალი		80 709	153 023
საპროცენტო ხარჯი (-)		-412 554	-569 173
იჯარის ხარჯი (-)		-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)		-135 378	-148 005
სულ საოპერაციო ხარჯები		-739 755	-776 612
საოპერაციო მოგება		1 470 426	963 067
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები (-)			-
მარაგები (-)			-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)			-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		166 033	-635 367
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		-25 678	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე			
განგრძობითი ოპერაციებიდან		1 610 781	327 700
მოგების გადასახადი (-)		(-)	(-)
მოგება/(ზარალი)		1 610 781	327 700
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			

ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიურიაქტივის)
გადაფასების რეზერვი
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირესა
წარმოების უძრავი ქონებისა და ფასების რეზერვი და
დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)

1 610 781 327 700

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი
ნაშთი)

2 184 733 1 857 033

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში
'კაპიტალისგაზრდა', კოოპერატივი სშემთხვევაში
'საპაიოკაპიტალისგაზრდა')

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

კაპიტალის სხვა ცვლილებები
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

3 795 514 2 184 733

1. ზოგადი ინფორმაცია

სს საქართველოს სავაჭრო ცენტრი დაფუძნდა 16/08/1996. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორია თათა სახელაშვილი

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

მოგების გადასახადი

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადამნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სს საქართველოს სავაჭრო ცენტრის

დირექტორი: თათა სახელაშვილი

